საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-120

01/03/2018

ქ. თბილისი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭაშლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე („მექვენის“ კალციტის საბადო (უბანი ბაჯირი, ძარღვი №1)), კალციტის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 და 2.2 ქვეპუნქტებისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭაშლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე („მექვენის“ კალციტის საბადო (უბანი ბაჯირი, ძარღვი №1)), კალციტის მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;
2. სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურების გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შევლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი,

დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი